შოთა გოგიბერიძე: „ქართველი ხალხი მოტყუებული რჩება“

ალიონი. გასულ პარასკევს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე შოთა გოგიბერიძემ ჟურნალისტებთან ბრიფინგი გამართა, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო რეფორმას მიუძღვნა.

„საქართველოს პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო რეფორმის განხილვის რამდენიმე თვიანი ეპოპეა ჩვენთვის მოსალოდნელი ფინალით დასრულდა. ხაზგასმით ვაცხადებთ- მსგავსი თაღლითური ქმედება ქვეყნის არც ერთ მმართველობას არ უკადრებია.

ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული საკონსტიტუციო ე.წ. განხილვების დროს „ქართული ოცნება“ ცვლილებათა ძირითად პაკეტში პროპორციულ სისტემაზე გადასვლას გვთავაზობდა 2020 წლის არჩევნებისთვის და რაიმე სხვა ვადაზე ან მაჟორიტარული სისტემის დატოვებაზე საუბარი არ ყოფილა. შედეგად კი მივიღეთ ხალხის, ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორის, ვენეციის კომისიის თაღლითური მოტყუება – კონსტიტუციაში შერეული საარჩევნო სისტემის დატოვება, ისე, რომ ბარიერის დაწევას არანაირი აზრი არ რჩება, და რაც ყველაზე საგულისხმოა, საარჩევნო კანონმდებლობაში მომზადებული ცვლილებების საფუძველზე დაგეგმილი საარჩევნო ადმინისტრაციის აბსოლუტურად ყველა რგოლის საკუთარ კონტროლზე დაქვემდებარება, ხელისუფლების

▶▶▶ გვ-2

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა,
მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა. (რ)

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 25 (10219), 26 ივნისი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

მარი სამსონია – ოთხი ათიანი

უპრეცედენტო შემთხვევა საატესტაციო გამოცდებზე საბუნებისმეტყველო საგნებში

ალიონი. უპრეცედენტო შემთხვევა საატესტაციო გამოცდებზე საბუნებისმეტყველო საგნებში

საატესტატო გამოცდებზე საბუნებისმეტყველო საკითხებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია) უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა, ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელმა მარი სამსონიამ მაქსიმალური შედეგი – ოთხი ათიანი დაიმსახურა.

ოთხ ათიანთან ძალიან ახლოს იყვნენ ამავე სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ზურაბ ვაშალომიძე და ნიკოლოზ შაფაქიძე.

ზურაბ ვაშალომიძემ გეოგრაფიაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში მაქსიმალური შედეგი აჩვენა, ხოლო ფიზიკაში 24 მეასედი დააკლდა 10 ქულამდე.

ნიკოლოზ შაფაქიძე ათიანები გეოგრაფიაში, ფიზიკასა და ქიმიაში მიიღო, ბიოლოგიაში კი 9,51 ქულით შეაფასეს მისი ცოდნა.

10-ქულიანებით ამავე სკოლის კიდევ ოთხი მოსწავლე გამოირჩა:

ნინო კოროშინაძე – 10 ქულა გეოგრაფიაში, 9,17 – ფიზიკაში, 9,31 – ქიმიაში;

მარიამ ყაზაიშვილი – 10 ქულა გეოგრაფიაში;

ელენე ინწკირველი – 10 ქულა ქიმიაში, 9,25 – ფიზიკაში, 9,40 – ბიოლოგიაში, 9,37 გეოგრაფიაში;

ერეკლე სამსონია – 10 ქულა გეოგრაფიაში.

დავით დარჩია: „პარტია არის ცოცხალი ორგანიზმი, განახლება კი ბუნებრივი პროცესია“

„ქართულმა ოცნებამ“ ადგილობრივი თვითმმართველობის 2017 წლის არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის სავარაუდო კანდიდატების სია უკვე შეადგინა. როგორ გამოიყურება იგი: დაბა ლაითური – რესან გაბაიძე; დაბა ნარუჯა – გურამ კოჩალიძე; დაბა ნასაკირალი - შოთა ართმელაძე: დაბა ურეკი – ბიძინა იმნაიშვილი; სოფელი ასკანა - ლევან ნინიძე; სოფელი ბაილეთი – პაატა კილურაძე; სოფელი ბახვი – ეროდი გორდელაძე; სოფელი ბოხვაური – გელა ჩავლეიშვილი; სოფელი გურიანთა – ბონდო ღლონტი; სოფელი დვაბზუ – როზეტა სკამკოჩაიშვილი; სოფელი ვაკიჯვარი – ბაჩანა ნიჟარაძე; სოფელი თხინვალი – ვალერი ჩხაიძე; სოფელი კონჭკათი – გელა არაშიძე; სოფელი ლიხაური – თამაზ სალუქვაძე; სოფელი მაკვანეთი – ბექა თოიძე; სოფელი მელექედური - ლევან კილაძე; სოფელი მერია – ალექსანდრე ღლონტი; სოფელი მთისპირი – ვლადიმერ ჩავლეიშვილი; სოფელი ნაგომარი – ალეკო გოგოძე; სოფელი ნატანები – თამაზ ტულუში; სოფელი ოზურგეთი – ირაკლი ჩხაიძე; სოფელი სილაური –გოჩა კილაძე: სოფელი შემოქმედი – თამაზ ბურჭულაძე; სოფელი ცხემლისხიდი – ლალი სიჭინავა; სოფელი ძიმითი – ტიტე მგელაძე; სოფელი ჭანიეთი – ავთანდილ სურგულაძე; სოფელი ჯუმათი -მერაბ ბერიძე; სოფელი შრომა – დავით ჭაკნელიძე.

გაზეთი „ალიონი“ აღნიშნულ სიაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით პარტია „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩიას დაუკავშირდა.

– ბატონო დავით, ადგილობრივ არჩევნებში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარ კანდიდატთა სიიდან ამოღებულია ილია მამალაძე, ნუგზარ კალანდარიშვილი, ხვიჩა წულაძე, კახა გობრონიძე, გენადი მესხიძე. ყველა ესენი აქტიური სადეპუტატო საქმიანობით გამოირჩეოდნენ, საკრებულოს სხდომებზე ხშირად აყენებდნენ თავიანთი სოფლების პრობლემებს და დიდი წვლილი აქვთ შეტანილი 2012 და 2014 წელს „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში?

– თითოეული ეს ადამიანი პატივისცემას იმსახურებს. ბევრი პრობლემა გადაიჭრა სოფლებში, მათი აქტიურობითა და ჩართულობით. თუმცა პარტია არის ცოცხალი ორგანიზმი, განახლება კი ბუნებრივი პროცესია. სხვა კონკრეტული მიზეზი ამ შემთხვევაში არ არსებობს – გვითხრა დავით დარჩიამ.

როგორი უნდა იყოს გასაყიდად განთავსებული სურსათის ეტიკეტი

ალიონი. ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა მოაწყო საინფორმაციო შეხვედრა თემაზე „სურსათის ეტიკეტირების საკანონმდებლო მოთხოვნები. “შეხვედრას აღნიშნული ცენტრის წარმომადგენლები ვახტანგ კობალაძე და თამარ გოგოტიშვილი.

2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „ტექნიკური რეგლამენტი საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის შესახებ“, რომლებმაც რძისა და ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების ახალი მოთხოვნები დააწესა.

მიუხედავად სურსათის ეროვნული სააგენტოს მცდელობისა

▶▶▶ გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

შოთა გოგიბერიძე: „ქართველი ხალხი მოტყუებული რჩება“

უზურპაციის განმაპირობებელი საკანონმდებლო ცვლილებები.

მივმართავ გურიის მოსახლეობას და მოვუწოდებ: ფხიზლად მიადევნონ თვალ-ყური ამჟამად საქართველოს პარლამენტში, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესებს. რადგანაც თუ ეს საკანონმდებლო თაღლითობა ერმა და საზოგადოებამ გაატარა, კვლავ ნაცარი წაიყარა თავზე და ნიჰილისტურად, გულგრილად მიუშვა თავის ნებაზე ხელისუფლება-მივიღებთ ვითარებას, როდესაც საარჩევნო პროცესი ყოველგვარ აზრს დაკარგავს, დაიწყება პოლიტიკური კრიზისი და სიტუაცია ბუნებრივად რევოლუციურ პრესპექტივებს შეიძენს.

ამას ემატება უმძიმესი ეკონომიკური ვითარება და სოციალური კრიზისი რომელს-აც თავი ვერ გაართვა ქართულმა ოცნებამ. ხალხს კი ესპობა მთავარი უფლება-არჩევნების გზით მოიყვანოს უკეთესი, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, მივიღეთ სააკაშვილის სადისტური ხელისუფლების ჩანაცვლება „ქართული ოცნების“ თაღლითური ხელისუფლებით, რომელიც თავს უფლებას აძლევს 2024 წლისთვის განსაზღვროს მმართველობის ფორმები. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ჯერ ისაა საკითხავი, 2020 წლამდე მიიტანენ თუ არა ისინი თავს.“-განაცხადა ბრიფინგზე გოგიბერიძემ.

როგორი უნდა იყოს გასაყიდად განთავსებული სურსათის ეტიკეტი

ეტიკეტირების თაობაზე ინფორმაცია ფართოდ გაავრცელოს, დღეისათვის მომხმარებლები და მეწარმეები მაინც არ არიან სათანადოდ ინფორმირებული.

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეხვედრის ორგანიზატორებმა წარმოადგინეს სასურსათო პროდუქტების ეტიკეტირებასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებულ მოთხოვნები და სიახლეები.

როგორც თამარ გოგოტიშვილმა აღნიშნა, ცენტრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამის მიზანია ქვეყანაში სახელისუფლო სტრუქტურების მიერ მომხმარებლის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საკანონმდებლო და ინსტუიურ დონეზე. ამ მიზნის მიღწევას პროგრამა ბაზრის მონიტორინგით, მომხმარებლის ცნობიერების ამაღლებითა და საკანონმდებლო ცვლიებების ლობირებით ახორციელებს.

შეხვედრას ადგილობრივი მეწარმეებიც ესწრებოდნენ, რომელთაგან საყურადღებო შენიშვნები „ჩემი მარკეტის“ მესაკუთრემ ირაკლი სირაძემ გააკეთა: სურსათის უვნებლობის სამსახური მაღაზიებს კი არ უნდა ამოწმებდეს, არამედ მიწოდებლებს, რომლებიც მათ მიერ მიწოდებული ნაწარმის არ მიღების შემთხვევაში ბრენდირებულ მაღაზიებზე აკეთებენ აქცენტს; არც ერთ ქართველ მწარმოებელს არ აქვს მოწესრიგებული ეტიკეტები ვადებთან დაკავშირებით; ეტიკეტებზე იმდენად მცირე შრიფტითაა გაკეთებული წარწერები, ვერ მაღაზიის მესვეურები და ვერც მომხმარებელი ვერ ამოიკითხავს; არაა პურის სპეციალიზებული მაღაზიები; სახორცეში არ აქვთ ცხელი წყალი; ისეთი მალფუჭადი პროდუქტი, როგორც თევზია, ოზურგეთის ბაზარში დახლზე იყიდება, მაკონტროლებელი ორგანიზაციები თევზის რეალიზატორებთან ვერ მიდიან, რადგან კომფლიქტს ერიდებიან; ყველი ქუჩებში იყიდება, ხოლო დაავადებული საქონლის და ღორის ხორცი ბათუმში ე.წ. „ჩამბარებლებთან,“ საიდანაც დიდი ალბთობაა ეს ხორცი ელიტარულ რესტორნებშიც კი მიდიოდეს.

ხორცის თემაზე ოზურგეთის დემორატიული ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელმა ლევან ხინთიბიძემ განაცხადა, რომ მეზობელი რეგიონის დედაქალაქის ბაზარში მას საქონლის ხორცი 7 ლარად შესთავაზეს;

ეკა ნინიძე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების უფროსი: – „დისტრიბუტორები ბაღებს ჩინურ ან ფრანგულ სერთიფიკატებს წარუდგენენ. ასევე გაურკვეველია პურის ხარისხი, რადგან არა აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი. როგორ მოიქცნენ ბაღის მენეჯერები -არ მიიღონ ასეთი პური და დატოვონ ბავშვები მშიერი?“

საქართველომ 2017 წლამდე ევროკავშირის 270-მდე რეგულაცია უნდა მიიღოს, რომელიც ამ პრობლემებს მოაგვარებს, მანამდე კი არსებობს საჯარიმო სანქციები: მავნე პროდუქტის წარმოებისათვის -1200 ლარი, ხოლო გენმოდიფიცირებული პროდუქტისათვის – 5000 ლარი.

სარწყავი არხის სათავე ნაგებობის მშენებლობა ლიხაურში

ლიხაურის ადმინისტრაციულ ერთეულში სარწყავი არხის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სამუშაოებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, მერაბ ჭანუყვაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი, გოჩა აბაშმაძე ადგილზე გაეცნენ.

სათავე ნაგებობა, წლების წინ, წყალმოვარდნის შედეგად დაზიანდა.

მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყო თანხა და არხის რეაბილიტაცია მოეხდინა.

სამუშაოების ღირებულება 140 000 ლარს შეადგენს.

პროექტის დასრულების შემდეგ ახალი სარწყავი სისტემით 450 ოჯახი ისარგებლებს.

ტაძართან ნაგვისა და ანარჩენების დასაწყავი ადგილი არ არის



ეს სურათი გასულ პარასკევს, 23 ივნისს, დღის პირველ ნახევარში გადავიღეთ. რაც ზედ არის ასახული, არც პირველია და, დიდი ალბათობით, არც უკანასკნელი იქნება, ამის ჩამდენი მოქალაქეების მენტალიტეტიდან გამომდინარე.

ოზურგეთელებო! ტაძართან ნაგვისა და ანარჩენების დასაწვავი ადგილი ნამდვილად არ არის, არანაირად არ არის ამის საჭიროება, რადგან მართლაც კარგად მუშაობს ქალაქის დასუფთავების სამსახური.

ტრენინგ-სემინარი მიგრაციის საკითხებზე

გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროექტის „მიგრაციის მართვის განვითარება საქართველოში“ ტრენინგ-სემინარი გაიმართა.

შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: არალეგალური მიგრაცია, ტრეფიკინგი, მიგრანტთა მოლოდინები და რეალობა, ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის პროცესი (არსებული შესაძლებლობები და გამოწვევები).

როგორც საია-ს წარმომადგენელმა ირაკლი ვარშანიძემ აღნიშნა, პროექტი „მიგრაციის მართვის განვითარება საქართველოში“ არაკომერციული ხასიათისაა და იგი მიზნად ისახავს კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირებით, ცნობიერების ამაღლებით, ქსელური მუშაობითა და ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოში მიგრაციის მართვის განვითარების ხელშეწყობას.

შეხვედრას სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლები და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სოფელ დვაბზუში ახალი ბიბლიოთეკა გაიხსნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა. (ა) ი.პ. „სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების“ ინიციატივით ბიბლიოთეკა დვაბზუს საბავშვო ბაღის შენობაში განთავსდა.

ბიბლიოთეკის გახსნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, მერაბ ჭანუყვაძე და გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - ნატალია ხომერიკი დაესწრნენ.

–მიხარია, რომ სოფელ დვაბზუს შეემატა ისეთი კერა, რომელიც აუცილებელია არსებობდეს ყველა სოფელში. აქ ვხედავ ბევრ ახალგაზრდას, რაც განსაკუთრებულად მახარებს. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით განვაახლოთ ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი და შევიძინოთ ყველა საჭირო ინვენტარი“, –აღნიშნა მერაბ ჭანუყვაძემ.

„სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების“ ხელმძღვანელმა, რუსუდან მემარნიშვილმა დვაბზუს ბიბლიოთეკას თანამედროვე ქართული ლიტერატურის უახლესი გამოცემები გადასცა.

DCFTA მრგვალი მაგიდა გურიაში

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) შესახებ, კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ევროპული პროექტის „ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ხელშეწყობა“ ორგანიზებით, გასულ პარასკევს გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში რეგიონული სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ადგილობრივ მეწარმეებთან და ფერმერებთან მრგვალი მაგიდის ფორმატში DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების იმპლემენტაციის თემაზე იმსჯელეს. შეხვედრაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ **გენადი არველაძემ** და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ნოდარ კერესელიძემ** ისაუბრეს DCFTA-ს ფარგლებში განხორციელებულ და დაგეგმილ რეფორმებზე, სხვადასხვა სახელმწიფო-საგრანტო პროგრამების, DCFTA-ს გამოწვევებისა და პერსპექტივების, DCFTA-ს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული (SPS) მოთხოვნებისა და სხვა საკითხების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ გურიის გუბერნატორი **გია სალუქვაძე**, გუბერნატორის მოადგილე **ქეთევან მოისწრაფეშვილი**, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები, **ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი** ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდამჭერი პროექტი, DCFTA -ს საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელი, **ლაშა ინაური** ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი, მეწარმეები და სხვა დაინტერესებული პირები. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე **გენადი არველაძე:** „დღეს მრგვალი მაგიდის ფორმატში მეწარმეებთან ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა. ჩვენ მათ გავაცანით DCFTA-ით აღებული ვალდებულებები და ის სარგებელი, რომელიც ამ შეთანხმებას ევროკავშირთან მოაქვს. ასევე, განვიხილეთ გამოწვევები და ის პრობლემები, რომლებსაც მეწარმეები სხვადასხვა მიმართულებით აწყდებიან“.

სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე **ნოდარ კერესელიძე:**– „გურიაში მეწარმეებს ევროკავშირთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მივაწოდეთ დეტალური ინფორმაცია. ჩვენ მათ განვუმარტეთ სახელმწიფოს როლი და საქმიანობა ამ საქმეში, როგორც საკანონმდებლო რეფორმების, ისე კონკრეტული მიზნობრივი პროგრამების კუთხით, რომლებიც ხელს უწყობს წარმოების ეფექტურობასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას. შეხვედრაზე დაისვა არაერთი საკითხი, რომელიც ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი იყო. ვფიქრობ, რომ სწორედ მსგავსი ტიპის შეხვედრების დროს ხდება პრობლემების იდენტიფიკაცია, რაც სახელმწიფოს წარმომადგენლებს გვეხმარება დავგეგმოთ და განვახორციელოთ შესაბამისი პოლიტიკა მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით“.

გურიის გუბერნატორი **გია სალუქვაძე:** – „ამომწურავი პასუხები გაეცა დღეს ყველა იმ შეკითხვას, რომელიც ფერმერებს ჰქოდათ. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული გახლდათ ამ პროგრამის განხორცილებაში“. მსგავსი სახის შეხვედრები სისტემატიურად იმართება რეგიონებში და მიზნად ისახავს მეწარმეების ინფორმირების გზით, მათი ჩართულობის უზრუნველყოფას DCFTA-ს განხორციელების პროცესში. 2017 წლის განმავლობაში უკვე გაიმართა ორი რეგიონალური შეხვედრა შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში.

მყარი ნარჩენები ექადიელთა პრობლემა

ალიონი. ექადია ქალაქის ერთ-ერთი უბანია, სადაც . მცირე და საშუალო ბიზნესმენებიდან არაერთს აქვს მიწის ნაკვეთები მდინარე ბჟუჟის და მდინარე აჭისწყლის, ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიებზე. კარგია, თუკი ვინმე ეკოლოგიურად სუფთა ობიექტს ააგებს და მუშახელს დაასაქმებს, მაგრამ სამწუხაროდ, ამ მიწის მეპატრონეების საქმიანობა, მყარი ნარჩენების შემოტანით და „ობიექტების“ შემდგომ გასაყიდად მომზადებით შემოიფარგლება. მათ შემოაქვთ ადამიანის ჯანმთელობისთვის საშიში ნაგავი. „გზამშენი 18“-ის მიმდებარედ მიწის მეპატრონემ სამშენებლო ანარჩენით ლამისაა მინი ფეხბურთის მოედანიც აითვისოს.

ოზურგეთი-ბათუმის ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, მდინარე აჭისწყლის სანაპიროზე მიწის ფართობს ფლობს **გ. ვასილიევი.** ორი წლის წინ, აღნიშნულ ფართობზე ასეულობით კუბური მეტრი მყარი ნარჩენი შემოზიდეს. მაშინ ქალაქის მერის ჩარევით ეს პროცესი შეჩერდა, თუმცა ბიზნესმენს აღნიშნულ ფართობზე არანაირი ობიექტის მშენებლობა არ დაუწყია და ერთი წლის განმავლობ-აში, ტერიტორიაზე შესავლელში იყო წარწერა „იყიდება.“ გასულ კვირაში აღნიშნულ ტერიტორიაზე კვლავ შეზიდეს სამშენებლო ნაგავი და საყოფაცხოვრებო ნივთები: ლეიბები, რეზინის მილები და ა.შ. მოსახლეობის ზარის შემდეგ რედაქცია დაინტერესდა ნარჩენების თემით და კომენტარისათვის ქალაქ ოზურგეთის მერიას მიმართა.

–ქალაქ ოზურგეთში თაყაიშვილის ქუჩაზე, შპს „გზამშენი 18“-ისა და მინი-სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე კერძო მესაკუთრე აწარმოებს მიწის ნაკვეთის საამშენებლოდ მომზადებას. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ურბანული განვითარებისა და მშენებლობის ინსპექტირების სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების მიერ მიმდინარე წლის 21 ივნისს გაფრთხილებული იქნა მესაკუთრე, რომ დროულად მოხდეს არსებული მიწის ნაკვეთის ზედაპირის გასწორება და არასამშენებლო ნარ-ჩენები გატანილ იქნას მიმდებარე ტერიტორიიდან.

რაც შეეხება ექადიის ტერიტორიაზე, მდინარე აჭის წყლის მიმდებარე ტერიტორიაზე, საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის არასამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების საკითხს, აღნიშნული სამსახურის მიერ მიმდინარე წლის 22 ივნისს მიწის კერძო მესაკუთრე გაფრთხილებული იქნა, რომ მან დროულად შეღობოს ტერიტორია, რათა არ მოხდეს ნარჩენების თვითნებურად დაყრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიწის მესაკუთრეს მიმართ კანონის შესაბამისი ზომები გატარდება.

ქალაქში მიმდინარე მსგავსი სამუშაოები ყოველდღიურად კონტროლდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ, რაც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დაცვას მყარი ნარჩენებისაგან და მათ დროულად გატანას - გვწერს -**ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ურბანული განვითარებისა და მშენებლობის ინსპექტირების სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი შალვა გაბრიჩიძე**

გაბრიჩიძემ სატელეფონო საუბარში გვითხრა, რომ მდინარე აჭისწყლის პირას მდებარე ფართობი ეკუთვნის ბიზნესმენ გიორგი ვასილიევის ერთ-ერთ ვაჟს, ხოლო „გზამშენი 18“-ის მიმდებარე ტერიტორია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელს **გიორგი ტაკიძეს.**

საქართველოს კანონი – ნარჩენების მართვის კოდექსი, ყველა ზემოთდასმულ კითხვაზე იძლევა პასუხს. მთავარია იყოს მისი დაცვის ნება, ხოლო დარღვევის შემთხვევაში გაწერილია რა სახის ფულადი ჯარიმები უნდა განხორციელდეს.

დააკისრებს თუ არა მომავლში გარემოს დანაგვიანებისათვის საჯარიმო სანქციებს ქალაქის მერია ბიზნესმენებს, ამაზე **შუქრი გაბრიჩიძეს** არ უსაუბრია.

შეკვეთილში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო და სპა კომპლექსის მშენებლობა ზაფხულში დასრულდება



საქართველოს თანაინვესტირების ფონდი შეკვეთილში ხუთვარსკვლავიან სასტუმროს აშენებს. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 80 მლნ ამერიკული დოლარია.

თითქმის უკვე დასრულებულია ძირითადი სამშენებლო სამუშაოები და საჩვენებელი სასტუმრო ნომერი. ამჟამად მოსაპირკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

სასტუმროში იფუნქციონირებს 220 ნომერი ხედით ზღვაზე, 1,600 მ? მოცულობის აკვარიუმი, ზღვაში 150 მ-ზე შეჭრილი აუზი, ღია და დახურული საცურაო აუზები, ზამთრის ბაღი და თემატური რესტორნები. ასევე, ხელმისაწვდომი იქნება სპა და მაგნიტური ქვიშის პროცედურები.

სასტუმროში ბავშვთა გასართობი ცენტრი, წყლის გიგანტური ტოპოგანი, სპორტული მოედნები, კინოთეატრი და კეთილმოწყობილი სასეირნო ბილიკები განთავსდება.

სასტუმროს ინტერიერი სრულად ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის.

შეკვეთილში მშენებარე ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო ერთ-ერთია იმ მასშტაბურ რვა პროექტს შორის, რომელსაც თანაინვესტირების ფონდი ახორციელებს.

რას გვპირდებიან „კეთილი ფერიები“

გასულ სამშაბათს ქ. ოზურგეთის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის №2 სბავშვო ბაღში მორიგი გამოშვება გაიმართა. ბაღის „ა“ ჯგუფის აღსაზრდელები ლამაზი საგამოშვებო კონცერტით დაემშვიდობენ მშობლიური ბაღის კედლებს. პატარებმა წარმოადგინეს მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა. შეასრულეს საცეკვაო და მუსიკალური ნომრები.

ამ ჯგუფის ყველა ბავშვს ჰქონდა სიმღერისა და ცეკვის ნიჭი, ხან კეთილ ფერიებად წარმოგვიდგებოდნენ, ხან მოჭიკჭიკე მერცხლებად, ხან კი საშობლოს დამცველ ჯარისკაცებად.

საინტერესო სცენარი, ნიჭიერად დადგმული ქორეოგრაფიული ნომრები ევროპული ცეკვებიდან, მუსიკალურად ჟღერადი სიმღერები ხიბლავდა დამსწრე საზოგადოებას: მშობლებს, პედagogებს, მუნიციპალიტეტისა და ბაღების გაერთიანების წარმომადგენლებს.

შემდეგ იყო მილოცვები, ლამაზი სურვილები, პატარების გაბწყინებული თვალები... პატარებს სკოლისკენ მიმავალ გზას ულოცავდნენ: მედეა ტრაპაიძე, მარინა ჯაფარიძე, თემურ მოქია, ირინა საჯაია, ეკა ნინიძე, ეთერ ჩხაიძე

ბაღის ამ გამორჩეულ ჯგუფს „დედა ენა“ გადასცა საჩუქრად საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძემ.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბაღის აღსაზრდელები: **ტასო ასტოიანი, ლიზი გოგიბერიძე, ანასტასია გოგიბერიძე, ელენე ინწკირველი, ნია მახარაძე, ვიკა დათუნაშვილი, მათე ადეიშვილი, დათა გოგოძე, ეკატერინე კობალაძე, მარიამ ბაკურია, ანასტასია დვეიძე, ლიზი ხიმშიაშვილი, სოფო გობრონიძე, დათა გოგიბერიძე, ლიზი აბაშმაძე, ეკატერინე დევდარიანი, ნიკოლოზ ღლონტი, ნიკა ჩხარტიშვილი, თენგო შაქარიშვილი, ლიკა ხუნდაძე, ბარბარე ჩანქსელიანი, ლიკა მამეშვილი, მარიამ მუჯირი, ნოე ფოცხიშვილი.**

მენეჯერი — **მედეა ტრაპაიძე**, აღმზრდელები —**ნატო დოლიძე, ეკა შალიკაშვილი, ირინა გობრონიძე**, აღმზრდელის თანაშემწე — **ნინო ცინცაძე**, მუსიკის მასწავლებელი — **თამილა ბურჭულაძე.**

შთამბეჭდავი ზეიმი

№ 2 ბაგა-ბაღის ფილიალის აღსაზრდელებმა (ჯგუფ „აკუნა მატატას“ კეთილსახოვანმა ნორჩებმა) ხატოვნად წარმოადგინეს მრავალფეროვანი საზეიმო კონცერტი.

სანახაობრივად ერთობ მიმზიდველი იყო საკონცერტო პროგრამა.

იმდღევანდელ სცენაზე პატარების შესრულებით ერთმანეთს შთამბეჭდავად ენაცვლებოდა ქართული, ბრაზილიური და ამერიკული ცეკვები.

აღნიშნულმა საცეკვაო ნომრებმა მრავალრიცხოვანი სტუმრების წრფელი აღფრთოვანება და მოწონების ოვაციები დაიმსახურეს.

მეტადრე შთამბეჭდავი იყო სცენურად განსახიერებული ქართლის დედა!..

იმდღევანდელ ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი **ე. ნინიძე**, დირექტორის მოადგილე **ნ. ქადეიშვილი** და აღნიშნული ცენტრის სხვა თანამშრომლები.

ზეიმში მონაწილეობდნენ აღსაზრდელები: **ანასტასია ყუბანეიშვილი, ელისაბედ მიმინოშვილი, ნიკოლოზ სურგულაძე, იოსებ ქუთათელაძე, ბელა ჩხაიძე, მარიამ ქოქოშვილი, დათა ქათამაძე, ნინი დოლიძე, გიორგი კირთაძე, ნიკოლოზ ჭანუყვაძე, ანასტასია გოგოტიშვილი, ანასტასია მჟავია, გიორგი დევაძე, გიორგი ჭოლაძე, დათა ნაცვალაძე, დემეტრე ჩავლეიშვილი, მარიამ სიხარულიძე, ნათია აბაშმაძე, ნინი დოლიძე, ლუკა გურასაშვილი, გიორგი ჩხარტიშვილი, მალხაზ ბიგბულატოვი, ილია კვიციანი, გიზო გორდელაძე, სოფო ჭყონია.**

აღნიშნული ბაღის მენეჯერია **მ. ტრაპაიძე**, აღმზრდელები — **მ. სიხარულიძე, მ. როყვა, ნ. ბაბილოძე**, მუსიკის მასწავლებელი — **ნ. კვერღელიძე.**

წარუშლელი საღამო № 9 ბაღის მატიანეში

№ 9 ბაღში პატარების (5-6-წლიანთა) მშობლიური ბაღიდან საზეიმოდ გაცილების ცერემონია გაიმართა საზეიმოდ მორთულ სცენაზე ერთმანეთს ხალისით ენაცვლებოდნენ ნორჩი მომღერლები, მოცეკვავეები, ნორჩი დეკლამატორები...

კეთილსახოვანმა ნორჩებმა ჩვენი სინამდვილიდან სანახაობრივად საინტერესო სცენური ეპიზოდები წარმოადგინეს, ჟღერდა გულში ჩამწვდომი ხალხური მელოდიები, გაისმოდა სხარტულებიც...

ის შთამბეჭდავი საღამო წარუშლელად ჩაიწერა აღნიშნულ.ი ბაღის მატიანეში.

გაგაცნობთ საღამოში მონაწილე აღსაზრდელთა ვინაობას: **ლიკა ნინიძე, თეკლა წიტაიშვილი, ნანკა შათირიშვილი, მედეა გოგოტიშვილი, გიორგი ტრაპაიძე, დათო გეგეჭკორი, გიორგი გეგეჭკორი, სანდრო ვართანიანი, ელენე მსხვილიძე, ქეთი მარგალიტაძე, ანასტასია ტუაევა, ელენე ჩანქსელიანი, ბარბარე ჟღენტი, ალინა ტამასიანი, გაბრიელ ნაცვალაძე, მამუკა მსხალაძე, ლაშა-გიორგი ღლონტი, გიორგი სიხარულიძე, მარი ცქვიტინიძე, დანიელ ბერაძე, დავით მახარაძე, გიორგი დოლიძე, ზვიად სირაძე, მამუკა მენაბდე, ანა-მარია სირაძე, ლიზი ქაშანიანი, იოანე კოსტავა, თენგო თოიძე, ნიკა ტარიელაძე, ლუკა დარჩია, გიორგი სამსონია.**

მენეჯერი — **ვერა ვასაძე**, აღმზრდელ-პედagogი — **ელიკო დარჩია**, მეთოდისტი — **ლუიზა მუჯირი.**

ბაღების წარმატებული მენეჯერებისა და პედagogების დაჯილდოება

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური დაცვის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის - განათლების განყოფილების ორგანიზებით კაფე „ზ+1“- ში სბავშვო ბაღების წარმატებული მენეჯერებისა და პედagogების დაჯილდოება გაიმართა.

სბავშვო ბაღების პედagogებმა სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებული მუსიკალური და მხატვრული ნომრები წარმოადგინეს.

მუნიციპალიტეტის განათლების განყოფილების უფროსმა, **ქეთევან კაჭანტირაძემ** „სკოლამდელი განათლების ცენტრს“ და სბავშვო ბაღების მენეჯერებს წარმატებულად დასრულებული სასწავლო წლისთვის მადლობა გადაუხადა და სპეციალური სიგელები და საჩუქრები გადასცა.

წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება და ფასიანი საჩუქრები გადეცათ: **ლია კალანდარიშვილს, ნანული ანთიძეს** (მაკვანეთის სბავშვო ბაღი); **თინა გაფრინდაშვილს, ირმა ლოდიას** (ლიხაურის სბავშვო ბაღი); **მალვინა სალუქვაძეს** (დაბა ნარუჯას სბავშვო ბაღი); **ელისო ონიანს** (გურიანთის სბავშვო ბაღი); **მარინა ზაქარიაძეს** (ჯუმათის სბავშვო ბაღი);

მუნიციპალიტეტმა მასწავლებელთა მასწავლებლის წოდების სპეციალური სიგელი გადასცა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების მეთოდისტს **ნაილი გრძელიძეს.**

ღონისძიებაზე პედagogებს სიტყვებით გამოვიდნენ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეელი, მერაბ ჭანუყვაძე და სოციალური დაცვის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი - მაიზერ ცელაძე.

მერაბ ჭანუყვაძემ თავის სიტყვაში ბაღებისადმი მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დღეს არის რეალური პირობები იმისათვის, რომ მაქსიმალურად იყოს დაფასებული სკოლამდელი დაწესებულებებში აღმზრდელ-პედagogების შრომა. მან მომავალი წლის გეგმებზეც ისაუბრა:

— მომავალი წლიდან მოხდება ყველა ბაღის ავტორიზაცია. ისინი ჩამოყალიბდებიან ცალკე ა(ი)პ-უბად და იქნებიან ერთიან სახაზინო სისტემაზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შეიქმნება სამსახური, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მათ მუშაობას -აღნიშნა ჭანუყვაძემ..

საანგარიშო კონცერტი მუსიკალურ სკოლაში

ალიონი. ყველა საანგარიშო წელს ოზურგეთის სამუსიკო სკოლაში საანგარიშო კონცერტი იმართება. წლევანდელი კონცერტი იმით იყო განსაკუთრებული, რომ წელს 80 წელი შესრულდა ოზურგეთის სამუსიკო სკოლის დაარსებიდან.

1937 წელს აღნიშნული სკოლა ადა შიფერი-თაყაიშვილმა დააარსა. მანვე მოიწვია მოსკოვის კონსერვატორიის კურსდამთავრებული ანა პიატკოვა და ჩამოყალიბდა საფორტეპიანო კლასი. გასული საუკუნის 50-იან წლებში კი იოანა ტუსკიამ სავიოლინო განყოფილება შექმნა.

ოზურგეთის სამუსიკო სკოლის აღზრდილი გახლდათ ცნობილი კომპოზიტორი, საქართველოს ჰიმნის ავტორი, პროფესორი იოსებ კეჭაყმაძე; ევროპაში აღიარებული მუსიკოსი, პროფესორი თემურ სიმვულიდი, რომელიც ამ დღის სტუმარი იყო. იგი ამჟამად საბერძნეთში მოღვაწეობს და კუნძულ სვიაფოსზე გახსნილი აქვს მუსიკალური კოლეჯი.

ოზურგეთის სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულები არიან ევროპის წამყვან საოპერო თეატრების სოლისტი სოფო გორდელაძე; გერმანიაში მოღვაწე საოპერო მომღერალი ქეთევან თავართქილაძე; მუსიკათმცოდნე ნანა მჟავანაძე.

გასულ პარსკევს გამართულ კონცერტზე სამუსიკო სკოლამ საინტერესო კონცერტი აჩვენა. სკოლის საუკეთესო მოსწავლეებმა საფორტეპიანო და სავიოლინო ნომრები წარმოადგინეს. ცალკე აღნიშვნის ღირსია სკოლასთან არსებული მევიოლინეთა ხალხურ საკრავთა ანსამბლი (თამთა კვირკველია); სკოლის გუნდი (ნათია გორდელაძე).

კონცერტის შემდეგ სკოლის დირექტორმა ლელა შარაშენიძემ სტუმრები საიუბილეო ტორტის გაჭრაძე მიიწვია.

თემურ სიმვულიდმა თავის სიტყვაში ძველი ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს ცნობილი ფრაზა წარმოთქვა: —„მუსიკა და სიყვარული“.

ვაჟა ჭანუყვაძე – ცნობილი პუბლიცისტი და მთარგმნელი

შემოგთავაზებთ ცნობილი ჟურნალისტისა და მთარგმნელის ვაჟა ჭანუყვაძის ლიტერატურულ თარგმანებს, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, ჩანახატებსა და ესეებს. მისი შინაარსიანი ცხოვრება რეპრესიებისა და გადასახლების მძიმე წლებს უკავშირდება, რომლის მამა ნიკიფორე ჭანუყვაძე 1924 წელს ბოლშევიკების წინააღმდეგ ცნობილ გამოსვლებში მონაწილეობისთვის ხანგრძლივი დროით გადაასახლეს შორეულ ციმბირში, კერძოდ ქ. ბარნაულში.

1933 წელს მას გადასახლებაში შეეძინა პირმშო (ვაჟა ჭანუყვაძე).

ვაჟა ჭანუყვაძე გადასახლებიდან 1938 წელს დაბრუნდა სამშობლოში.

სწავლობდა შემოქმედის საშუალო სკოლაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დასავლეთ ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

გერმანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი 1956 წელს დაამთავრა და მუშაობა დაიწყო საქართველოს საზღვაო სანაოსნოში თარჯიმნად.

შემდეგ სოფელ შემოქმედში მუშაობდა მუზეუმში. აქ საქმიანობისას მან საინტერესო სტატია გამოაქვეყნა რაიონულ გაზეთში, სადაც სათანამშრომლოდ მიიწვიეს. 1959 წელს რაიონული გაზეთის მაშინდელმა რედაქტორმა ვახტანგ ჯაყელმა დანიშნა რედაქციის ლიტმუშაკად.

იმავე წლებში, მიუხედავად ოჯახური წარსულისა (მამა ხომ რეპრესირებული ჰყავდა), პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად გადაიყვანეს.

შემდეგ მუშაობდა ჟურნალ „სუბტროპიკულ კულტურებში“ პასუხისმგებელ რედაქტორად, საიდანაც კვლავ რაიონულ კომიტეტში დააბრუნეს, ამჯერად საერთო განყოფილების გამგედ.

მის შემოქმედებით ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორად გატარებულ 5 შინაარსიან წელიწადს.

დაახლოებით ამდენივე დრო ვაჟა ჭანუყვაძე ოზურგეთის საწესჩვეულებო კომბინატის დირექტორად იღწვოდა.

1980 წელს იგი დაინიშნა ოზურგეთის სტამბის დირექტორად, შემდეგ ოზურგეთის პოლიგრაფიული გაერთიანების, სააქციო საზოგადოება „ოზურგეთის სტამბის“ დირექტორად.

ცალკე თემაა მისი მთარმგნელობითი მოღვაწეობა. ბატონ ვაჟას ნათარგმნი ჰქონდა და გამოსაცემად გამზადებული გერმანელი კლასიკოსების არაერთი ნაწარმოები. სიცოცხლეში მან მხოლოდ კელერის „სოფლელი რომეო და ჯულიეტას“ გამოცემა მოასწრო.

არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ბატონი ვაჟას ქართული ვაზისადმი განსაკუთრებული სიყვარული. მას გაშენებული ჰქონდა უძველესი ქართული ვაზის ჯიშები „ჩხავერი“, „ალადასტური“, „ჯანი“, „ცოლიკაური“ და მრავალი სხვა.

2002 წელს ოზურგეთის სტამბის 110 წლისთავთან დაკავშირებით ვაჟა ჭანუყვაძე ღირსების მედლით დაჯილდოვდა.

დღევანდელ ნომერში გთავაზობთ გერმანელი პოეტების ლექსების ვაჟა ჭანუყვაძის მიერ შესრულებულ პოეტურ თარგმანებს.

ჰაინრიჰ ჰაინე

X X X

რომ ცოდნოდათ ტურფა ყვავილთ,
რამ გამიპო ორად გული,
იტირებდნენ ჩემთან ერთად,
მოსარჩენად ჩემი წყლულის.
რომ ცოდნოდათ ლამაზ ბულბულთ,
თუ რადა ვარ ტანჯვის მჩენი,
გასართობად ტკბილ სიმღერას,
დასძახებდნენ მაშინ ლხენით.
რომ ცოდნოდათ ეს ტკივილი,
ვარსკვლავთ, სხივზე მოკამკამეთ,
მოვიდოდნენ, ნუგეშს მცემდნენ,
ცრემლს რად ღვრით ასე მწარედ...
მაგრამ მათ არ შეუძლიათ,
მანუგეშონ ლამაზ თქმითა,
წყლულს მომირჩენს მხოლოდ იგი
ვინც მე გული დამიფლითა...

X X X

ერთ დროს ცხოვრობდა მოხუცი მეფე,
გულბოროტი და შეუპოვარი,
და ამ ბებერმა, უგულო მეფემ
ცოლად ითხოვა ყმაწვილი ქალი.
იმ დროს იქ იყო ლამაზი პაჟიც,
ქერათმიანი, მწყობრი ტანისა,
იმ პაჟს ეჭირა ქორწინების დროს,
კაბის შლეიფი დედოფალისა.
ძვირფასო, იცნობ ამ ძველ სიმღერას?
ასე ტკბილია, თანაც მწუხარი,
ორთავე მოკვდა ულმობელ ხელით,
და მათ სიყვარულს დაედო ზღვარი...

X X X

გაქვს მარგალიტი აურაცხელი,
შენ ხომ ყველაფერს განიჭებს ბედი.
შენ თვალები გაქვს ულამაზესი -
თქვი საყვარელო, რა გინდა მეტი?
მაგ თვალებს ბევრი ვუძღვენი ლექსი,
და პოეზიის წყარო უშრეტი.
ხომ შენ იყავი უჭკნობი მარად,
თქვი საყვარელო, რა გინდა მეტი?
ო, მაგ თვალებით მაწამე ძლიერ,
და სილამაზით დამასხი რეტი,
ხომ საბოლოოდ გამანადგურე,
თქვი საყვარელო, რაღა გსურს მეტი?

გოეთე

X X X

მგზავრის ღამეული სიმღერა
მაღალ მწვერვალებს მთისას,
ღამის წყვდიადში სძინავთ,
და შენს გულშიაც მგზავრო,
დუმილს დაუდევს ბინა.
ტყეში ფრინველნი სდუმან,
სიოც არ იძვრის მთაში,
შენც დაიღლები მალე
და დამშვიდდები მაშინ.

ფ. შილერი

გაზაფხულისადმი

სალამი შენდა, ბუნების
დამტკბობელო გენიავ!
ია და ვარდით მინდვრები,
გულუხვად მოგიფენია!..
ისევ გვესტუმრე, ტურფაო,
მოგაქვს მშვენების ალამი,
მოგაქვს ყვავილთა სურნელი,
სალამი შენდა, სალამი!..
გახსოვს, ლამაზო გოგონა,
მე რომ ვუყვარდი პატარას?
ის გრძნობა ჩემმა კუდრაჭამ,
აქამდე წრფელად ატარა.
იმ გოგონასთვის, თუ გახსოვს,
გართმევდი ლამაზ ყვავილებს...
ახლაც ამას გთხოვ, ძვირფასო,
ამ წელსაც ნუ გამაწბილებ!..

ჩვენი იურა - 77



ხელოვანის პიროვნება, მისი შინაგანი სამყარო, მრავალი საშური თვისებით ხასიათდება. ბედნიერებაა, როცა შენს გვერდით არის ადამიანი, ზნეკეთილი, უბოროტო, არაშურიანი, დიდებული მსახიობი, რეჟისორი და ნიჭიერი დრამატურგი.

ჩვენი გაზეთის რუბრიკის პერსონაა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, არაერთი პრემიისა და ჯილდოს მფლობელი იური ჯიჯიეშვილი, რომელსაც თეატრში „ილიჩოვი“ მოიხსენიებენ, ხოლო ქალაქში ახალგაზრდები „ფიუნესს“ ეძახიან მისი საცარი მსგავსების გამო ფრანგ იუმორისტ მსახიობ ლუი დე ფიუნესთან.

მან მთელი ცხოვრება ოზურგეთის სახელმწიფო თეატრს დაუკავშირა, - ორმოცდათამდე მთავარი და უფრო მეტი სახასათო როლი შეჰქმნა. გადაღებულია 10 ქართულ ფილმში.

იგი 77 წლისაა. ეს ასაკი ისტორიისთვის არაფერს ნიშნავს, ხოლო ადამიანისთვის სოლიდურია. როცა გადახედავ შენს აღმართს და დაღმართს, რათა გაანალიზო შენს მიერ განვლილი გზა, მაშინ მიხვდები, რომ ცხოვრებაში იმ ეტაპს მიაღწიე, როცა აღარ გინდა დრო დაკარგო იმაზე, რაც მოგწონს, ან პირიქით, რაც არ მოგწონს, ტკივილს გაყენებს... უღიმოდე მათ, ვისაც შენთვის ღიმილი არ ემეტება.

ბევრი ხვეწნის და მისი უსაყვარლესი შვილიშვილების ჩარევის შედეგად იურა ინტერვიუზე დავთანხმე.

-გულითადად გილოცავ 77 წლის შესრულებას... რა ეტაპი დგება ამ სოლიდური ასაკის შემდეგ?

-ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვს, რომელსაც ადამიანი ჰქმნის და პირიქით, ასაკმა არ უნდა შეგქმნას, მაშინ სიბერე ასე ადვილად ვერ მოგერევა.

-როგორ წარმოგიდგენია „პერიკაკი იურა“?

-შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან შეკავსებ კროსვორდებს, დაველოდები მზის ამოსვლას და ჩასვლას. ასაკზე არასოდეს მიფიქრია, არც იმაზე, რომ მალე 80-ის გავხდები და შეიძლება სიკვდილიც მალე მოვიდეს, მაგრამ მე ამის არ მეშინია. ვლოცულობ, რომ არ დავძაბუნდე და სხვისი მოსავლელი არ დავრჩე.

-დავიწყოთ შენი ბავშვობით...

-ცხონებული მამაჩემი მასწავლიდა, რომ ზრდილობა, ღირსება, თანადგომა ადამიანისთვის უპირველესია და მთელი ჩემი ცხოვრება ამ სამ ფაქტორზე ავაგე და შეძლებისდაგვარად ვასრულებდი.

-თეატრზე ბავშვობიდანვე ოცნებობდი?

-ჩემს ბავშვობაში მფრინავ ვალერი ჩკალოვის სახელი ქუხდა, მის სადღეგრძელოებს გურიაში ყველა წვეულებაზე სვამდნენ (როგორც დიდი სტალინის). ამიტომ მოვიწამლე ავიაციით... მინდოდა მფრინავი გამოვსულიყავი. სხვათა შორის, ჩემი ტოლა ბიჭებიც ავიაციაზე ოცნებობდნენ, ზოგმა კიდეც აისრულა ოცნება... რაც შეეხება ჩემს თეატრალობას, მახსოვს ჩემს მშობლიურ სოფელ ჯუმათში, სალამობით ამოდიოდა „პალტარტონკა“, მოიტანდნენ ე. წ. „დვიჟოკს“ და თეთრ ზეწარზე უჩვენებდნენ ფილმებს... განსაკუთრებით დამამახსოვრდა კინოფილმი „ვეორგი საკაძე“, სადაც მონაწილეობდნენ დიდი მსახიობები: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე, სპარტაკ ბაღაშვილი, რომლებმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს ჩემზე. ამას დამატა ის, რომ ჩვენი სოფლის პატარა კლუბში ხშირად იმართებოდა ოზურგეთის თეატრის წარმოდგენები... რა დამავიწყებს იმ დიდებულ არტისტებს: რომან ლომინაძეს, ლამარა თურმანიძეს, ევტროფი თალაკვაძეს, ვალოდია დოლიძეს, ილია არობელიძეს, ლადიკო ბაჯელიძეს, შურა ცქიტიშვილს, მიშა წიგნაძეს, გრიშა კალანდაძეს და სხვებს, რომლებმაც ჩემს ცნობიერებაზე დაუვიწყარი კვალი დატოვეს (მაშინ აბა რას ვიფიქრებდი, რომ სულ მალე მათ გვერდით სცენაზე დგომა მომიწევდა). სწორედ ამ ხალხის ნიჭიერებით მონუსხულმა გადავწყვიტე „არტისტობა“. დავამთავრე თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი დრამის მსახიობის სპეციალობით და ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში გამანაწილეს დამწყებ მსახიობად. თეატრში ძველ თაობასთან ერთად დამხვდნენ შესანიშნავი ახალგაზრდა მსახიობები: ამირან ქადეიშვილი, გივი ახმეტელი, ლადუნა მექვაბიშვილი, თეატრალურ ინსტიტუტ დამთავრებულები გაბრიელ მდინარაძე, ზაირა თოთიბაძე, ნუგზარ ბარამიძე, ომარ ურუშაძე, ჯემალ კეკაყმაძე... თეატრს ჰყავდა დიდებული, უნიჭიერესი დასი. თეატრის თავკაცი გახლდათ არაჩვეულებრივი მსახიობი, რეჟისორი და ორგანიზატორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ბეჟან ნაკაიძე. მთავარი რეჟისორი, უნიჭიერესი რეჟისორი ოთარ თალაკვაძე; იმ დროში იდგმებოდა შესანიშნავი სპექტაკლები „მევლუდი“, „ამაღლებული სოფელი“, „გლახის ნაამბობი“, „კიკვიძე“, „დაჭრილი არწივი“ და სხვა. მაშინ თეატრი მოდაში იყო, ბილეთები ერთი კვირით ადრე იყიდებოდა. მინდა დავამატო, რომ დღეს ხალხი შემობრუნდა თეატრისკენ, ესწრებიან სპექტაკლებს, რაც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვასო ჩიგოგიძის დამსახურებაა.

-რომელი სპექტაკლი გახსოვს?

-რა დამავიწყებს ჩემს სპექტაკლებს და მის დამდგმელ რეჟისორებს. ასევე, ჩემი რეჟისორობით და სცენარით დავდგი „ჭაობი“, „მღერიან და ხუმრობენ მსახიობები“, „კაბარე-კაბარე“...

-კინოში როგორ მოხვდი?

-არ ვიცი, რა მოეწონათ ჩემში რეჟისორებს, რომ 10 კინოფილმში ვარ გადაღებული, ნათამაშევი მაქვს სერიოზული როლებიც...

-წლების განმავლობაში თეატრში სტუდიის პედაგოგი იყავი...

-ჩემი აღზრდილებია ვახტანგ ჩხარტიშვილი, ირაკლი ვადაჭკორია, გენადი ნიკოლაიშვილი, რომლებიც დღეს ოზურგეთის თეატრის წამყვანი მსახიობები არიან. მე მივიყვანე თეატრში ხატიას როლის შემსრულებელი მარიამ მდინარაძე, იმხანად სკოლის მოსწავლე, რომლის შესახებაც სულგანათლებულმა გიგა ლორთქიფანიძემ ბრძანა: „საქართველოს თეატრებში ასეთი დახვწილი და ნაღდი ხატია არ მინახავსო“... დღეს ქალბატონი მარიამ მდინარაძე ქართულ სატელევიზიო სივრცეში წარმატებული პროექტების ავტორია.

-რას შეცვლიდი შენს ცხოვრებაში?

-როცა სუთარ თავში ჩახედავ და მიხვდები, რომ ის სუფთაა, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. მე მაქვს ჩემი ღირსება, რომელიც ერთადერთი სამოსია, მას ვერავინ გაგხდის. ასე რომ, არაფერს შეცვლი.

-მიუხედავად ბატონი ვასო ჩიგოგიძის თხოვნისა, რომ თეატრიდან არ წასულიყავი, უარი განაცხადე... რატომ?

-თეატრში ნახევარ საუკუნეზე მეტი გავატარე... არ მინდა მყურებელმა მნახოს მოხუცი იურა... სამაგიეროდ, იქ დავტოვე ჩემი ქალიშვილი და შვილიშვილები, რომლებიც ხშირად არიან დაკავებულები სპექტაკლებში. თუ ჩემი შვილიშვილები მოისურვებენ მსახიობობას, მე მივესალმები.

-და ბოლოს, ჩემო იურა, შენ ძალიან უყვარხარ როგორც მაყურებელს, ისე ოზურგეთელებს... შემიძლია ვთქვა, რომ შენ ხარ ჩვენი ქალაქის კოლორიტი. წინასწარ გილოცავ დამდეგ დაბადების დღეს (28 ივნისს), გულითადად გისურვებ წელთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას და გახარებას!.. ალბათ, შენზე დაწერა ლექსი საქართველოს სახალხო არტისტმა ნინო საკანდელიძემ:

„მთავარი არის სუფთა გზებით იარო ქვეყნად,
აბა, ასაკი რა სირცხვილად მოსატანია,
ვიცით, რატომ ხარ ასე ლაღი, ამაღლებული,
უკან მოხედვის არ გეშინია და გიხარია!..“

შენი ბავშვობის მეგობარი

ბახუტა ოთხმეზური.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ოზურგეთის სერვისცენტრის“ განცხადება მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ქ. ოზურგეთში დაიდგა 100 ცალი ნაგვის ახალი ურნა. ვთხოვთ ქალაქის მოსახლეობას, მათი გამოყენებისას, დაიცვან შემდეგი წესი:

ურნაში ნაგვის განთავსების შემდეგ აუცილებლად დაახურონ ხუფი, რათა არ მიეცეთ ძაღლებს და სხვა ცხოველებს ურნის განთავსების ადგილის დანაგვიანების საშუალება.

* * *

ქ. ოზურგეთის ცენტრალურ ქუჩებზე, ბაღებსა და სკვერებში ასეულობით ძირი მარადმწვანე მცენარე, ერთწლიანი და მრავალწლიანი სხვადასხვა სახის ყვავილი დაირგო.

ვთხოვთ მოსახლეობას, არ გაუშვან უმეთვალყურეოდ შინაური პირუტყვი, რათა არ მოხდეს ქალაქის მწვანე ნარგაობის დაზიანება.

ქალაქის ტერიტორიაზე უმეთვალყურეო პირუტყვის გაშვების შემთხვევაში გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ერთად მოვუაროთ ჩვენს ქალაქს!

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) იპ „ოზურგეთის სერვისცენტრი“

თავისუფალი ჭიდაობა

16-18 ივნისს ქ. ქობულეთში ჩატარდა ევროპის ვიცე-ჩემპიონის **კობა კაკალაძის** საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2002-2004 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის აღსაზრდელებმა იასპარეზეს. **გოჩა ირემაძემ** 42კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა,

ხოლო 47კგ **კახა ძირკვაძემ** მესამე ადგილი მოიპოვა.

მწვრთნელი **დავით მაჭარაშვილი**

იყიდება

იყიდება საცხოვრებელი სახლი, მოშენებული ეზოთი, ნინოშვილის ქ.№28, კლინიკის წინ. დაგვიკავშირდით, 591 71 90 80.

* * *

იყიდება კეთილმოწყობილი სამოთახიანი ბინა, კაპიტალური გარაჟით, რკინის ორმაგი კარით, ბუნებრივი გაზით და დამონტაჟებული კარმით, ბუნებრივი ცივი და ცხელი წყლით, არისტონის ცხელი წყლის ბაკით, კონდიციონერით, მუხის და მაკაგონის პარკეტით, სათავსო თაროებით, 2 აივნით. მუშაობს ლიფტი. მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქუჩა №2, 12-სართულიანი ბინის მე-6 სართული. ტელ. 599 90 29 60. ფასი შეთანხმებით.

სკანვორდი





№ 24-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ამირან ქადეიშვილი; საცხენოსნო სპორტის სახეობა — ისინდი; ნაცვალსახელი — იგი; თუთიყუშის სახეობა — კაკადუ; დიახ — კი; პარლამენტარი ... მარშანია — ადა; თმის სახეობა — ინა; კონტინენტი — ავსტრალია; ფრინველი — ალალი; მზესუმზირის პროდუქტი — ჰალვა; კუბის დედაქალაქი — ჰავანა; ქალაქი რუსეთში — ნოვგოროდი; ქსოვილის სახეობა — მაუდი; სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარი — გრადი; ბგერის სახეობა — ხუნსმიერი; ძიუდოს ხალიჩა — ტატამი; მგალობელი ფრინველი — იადონი; შემინული ივანი — შუშანდი; სომხეთის დედაქალაქი — ერევანი; უარყოფა — არა; ნაკადული — რუ; ფეხბურთელი ... ანრი — ტიერი; ქალის სახელი — სიდონია; ბევრი — მრავალი; მდინარე რუსეთში — დონი; სუბტროპიკული მცენარე — ჩაი; შეძახილი კორიდაში — ოლე; კუთხის სახობი ერთეული — გრადუსი; შერლოკ ჰოლმსის ავტორი — დოილი; ვერდის ოპერა — აიდა; არეული საქმე — ბანდი; ნოტი — ფა; იტალიური ტელეკომპანია — რაი; კავშირი — და; წონის ერთეული — გრამი; ბგერითი აპლოდისმენტი — ბრავო; მღვდლის სამოსი — ანაფორა; ჩეხური ავტომობილი — შკოდა; პატარას ანტიპოდი — დიდი; ცხოველური ცხიმი — ქონი; არშესარგები ლუკმა — არამი.

ოზურგეთის ქუჩებისა და უბნების ისტორიები

ანასეული

ანასეული (ანასოული) ოზურგეთის ერთ-ერთი უბანია. იგი ადრე სოფელ ექადიის შემადგენლობაში შედიოდა ,როგორც ბასრა, გოშველი, ჯაგვასოული,ანასოული, ვაშტიალი სარძიკველაი, ბეგო, ნაბახჩვარი, ფიჩხისჯვარი, ლაითური, სპოტიეთი, ტოლაბაკური, ძღაბლოვანი და სხვა. ანასეული უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული, რასაც მოწმობს არქეოლოგიური აღმოჩენები.

სახელწოდება ანასეული გადმოცემით უნდა მომდინარეობდეს ანა ბატონიშვილის სახელიდან.მამია მეორე გურიელმა თავისი ქალიშვილი ანა კახეთის მეფე თეიმურაზს მიათხოვა და მზივებში მამული უბოძა და მას ანასოული ეწოდებოდა.პროფერორ იური სიხარულიძის აზრით კი:,,სახელწოდება ანასეული აზნაურ ანანიძისაგან მომდინარეობს, ცხოვრების უძველესი ნაკვალევი დედამთავრული სახლის გვიანდელი ხანისაა, გამოვლენილია ამ ეპოქის სამოსახლოები ანასეული 1 და ანასეული 2,რომელიც ,,მიწის ციხის" სახელწოდებით დამკვიდრდა საისტორიო ლიტერატურაში (გათხარა არქეოლოგმა ლამარა ნებიერიძემ, გათხრაში რამდენჯერმე მწერალი გურამ დოჩანაშვილიც მონაწილეობდა". (იური სიხარულიძე ,,გურია" მეგზური თბ. 2005წ.გვ.19.) (ბატონი გურამ დოჩანშვილი პროფესიით არქეოლოგი გახლავთ მ.ლ.)

ანასეულში 1930 წელს დაარსდა ჩაის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1938 წლიდან ინსტიტუტს დაეკისრა მუშაობა ციტრუსოვან და სხვა სუბტროპიკულ კულტურაზე.1948 წლიდან ინსტიტუტმა დაიწყო ციტრუსოვან კულტურათა სელექცია.ინსტიტუტს ფილიალები ჰქონდა ჩაქვში,სოხუმში,ფოთსა და ზუგდიდში. 1953 წელს ინსტიტუტში არსებულ ჩაის განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი, რომელსაც გააჩნდა საკუთარი ჩაის ფაბრიკა.

ანასეულში იყო კიდევ ერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება – დასავლეთ საქართველოს ზონალური აგროქიმიური ლაბორატორია, რომელიც ამჟამად არის ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის დიაგნოსტიკური ცენტრი.

ანასეულში ათეული წლების მანძილზე მუშაობდა მეტეოსადგური.

ანასეულში ასევე არის მე-5 საჯარო სკოლა.1971 წელს დაიდგა ტელესატრანსილაციო სადგური.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი

შეხვედრა რაგბისტებთან

ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძე სარაგბო კლუბ "არწივები"-ს ხელმძღვანელს თენგიზ კალანდაძეს და რაგბისტებს შეხვდა და სამუშაო თათბირი ჩაატარა.

ეს შეხვედრა პირველი გახლდათ მას შემდეგ, რაც კლუბმა ასპარეზობა მეორე ლიგიდან პირველ ლიგაში გააგრძელა.

ქალაქის მერმა სპორტსმენებს თავდაუზოგავი შრომისა და მიღწეული წარმატებისთვის მადლობა გადაუხადა და კლუბის საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ ყველა ინფორმაცია უშუალოდ მათგან მოისმინა.

შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს ,,არწივები"-ს სამომავლო გეგმები. როგორც ბეგლარ სიორიძემ განაცხადა, ქალაქის მერია, შესაძლებლობების ფარგლებში, კლუბს ყველა იმ სახის დახმარებას გაუწევს, რაც გუნდის სპორტული მიღწევების გასაუმჯობესებლად იქნება საჭირო.

კლუბს მისი არსებობის რვაწლიანი ისტორიის მანძილზე, პირველ ლიგაში არასდროს უთამაშია. კლუბის დირექტორი თენგიზ კალანდაძე ,,არწივები"-ს წარმატებას ქალაქის ხელისუფლების მიერ გაზრდილ დაფინანსებას უკავშირებს, რაც რაგბისტებისთვის საკმაოდ დიდი მოტივაცია გახდა. ქალაქ ოზურგეთის მერიამ კლუბის დაფინანსება 46 500 ლარით გაზარდა და რაგბისტებს, პირველად კლუბის ისტორიაში, ხელფასი დაუნიშნა.

–ბეგლარ სიორიძე გახლავთ პირველი ხელმძღვანელი, ვინც ჩვენს კლუბში საკმარისი პოტენციალი დანახა და საჭიროდ მიიჩნია, ,,არწივები"-თვის წარმატების მიღწევის შანსი მიეცა. მოხარული ვარ, რომ იმედები გავუმართლეთ და დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწევთ" – განაცხადა თენგიზ კალანდაძემ.

„ბოშები" კულტურისა და დასვენების პარკში

ალიონი. კულტურისა და დასვენების პარკის ამფითეატრში მწერალ ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით დადგმული სპექტაკლი "ბოშები"-ს ჩვენება გაიმართა, რომელიც,,ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის " თეატრალური სტუდიის ბავშვებმა წარმოადგინეს.სპექტაკლის რეჟისორია თეო (თათული) მგელაძე.

სპექტაკლი საქველმოქმედო იყო და მიზნად ისახავდა ოზურგეთში მცხოვრები ბოშების სოციალიზაციას და ინტეგრაციას საზოგადოებაში.

სპექტაკლმა ამჯერადაც მაყურებლების დიდი მოწონება დაიმსახურა. სპექტაკლის დასრულების შემდეგ მაყურებელთა ნაწილმა შემოწირულობები გაიღო.

–დღეს საქველმოქმედო ასოციაცია ,,გურია" ბენეფიციარები მიწვეული ვიყავით სპეკტაკლზე ბოშები ძალიან კარგი და საინტერესო წარმოადგენა გვიჩვენეს ,,ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის" და ლიდერთა სკოლის მოსწავლეებმა მადლობა მათ რომ ასეთი კარგი წარმოდგენა გვიჩვენეს ასე ხალისიანად და კარგად ითამაშეს –გვითხრა ასოციაცია ,,გურიას" ბენეფიციარმა თამუნა ლურსმანაშვილმა.

პირველი წრის შემდეგ

ალიონი. დამთავრდა რეგიონლიგის გათამაშების პირველი წრე ფეხბურთში. ,,ა" ჯგუფში გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობს ჩოხატაურის ,,ბახმარო", რომელმაც მის უშუალო კონკურენტთან, ჩხოროწყუს ,,ლესიჭინესთან" გასვლით მატჩში ფრე 1:1 ითამაშა და კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები. ,,ბახმაროს" 14 ტურის შემდეგ (11 მოგება, 3 ფრე, ბ-შ 32-6) 36 ქულა აქვს.

,,ლესიჭინეს" ქულათა რაოდენობით დაეწია ,,მაჭახელა", რომელმაც გასვლით მატჩში აბაშის ,,ზანა" დამარცხა 0:1. ორთავე გუნდს 32-32 ქულა აქვს.

წარმატებებს მიაღწიეს მომდევნო საფეხურებზე მყოფმა ,,ტორპედო 2"-მა და ,,სამგურალი-2"-მა .ქუთაისელებმა საშინაო მატჩში ,,საირმე" დამარცხეს 5:0, ხოლო წყალტუბოელებმა გასვლით მატჩში – ,,რაჭა" 1:3. მათ 28-28 ქულა აქვთ.

გათამაშების მე-6 საფეხურზე ხულოს ,,ხიხანია," რომელმაც შინ დაძაბულ ბრძოლაში ოზურგეთის ,,მერცხალს" სძლია 1:0. ,,ხიხანს" 26 ქულა აქვს.

ბათუმის ,,დინამო 2" 21 ქულა აქვს, ხოლო ,,მერცხალი" 20 ქულით (6 მოგება, 2 ფრე, 6 წაგება, ბ-შ 25-22) მე-8 ადგილზეა.

მომდევნო ადგილებზე არიან: ,,საირმე"-19 ქულა, ,,რაჭა"-14 ქულა, ,,ზანა"-11 ქულა, ,,ეგრისი"-10 ქულა, ,,სალხინო"-8 ქულა. ბოლო საფეხურზე ,,ოდიში 1919-2" იმყოფება, რომელმაც პირველი წრის ყველა მატჩი წააგო.

როგორც გათამაშების ცხრილიდან ჩანს, ,,მერცხალი" ვერ ახერხებს ლიდერთა ჯგუფში ყოფნას,რაც როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებით უნდა აიხსნას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ცხრილის სათავეში მყოფ გუნდებისაგან განსხვავებით გუნდს ჯერჯერობით არ ჰყავს სპონსორი. (მადლობა ეკუთვნის კომპანია ,,კახური ტრადიციული მეურნეობა" დამფუძნებელს ზურაბ ჩხაიძეს, რომელმაც სეზონის დასაწყისში გუნდს ფორმები შეუძინა), ფინანსები კი გადამწყვეტ როლს თამაშობს ფეხბურთში.

რედაქცია ინტერვიუს ჩასაწერად დაუკავშირდა ,,მერცხალის"მთავარ მწვრთნელს ხარიტონ ჩხატარაშვილს, რათა გვესაუბრა სეზონის შედეგებზე, პრობლემებზე და გუნდის პერსპექტივებზე, თუმცა რატომღაც ეს ინტერვიუ არ შედგა.

გვინდა ორიოდე სიტყვით აღვნიშნო იმ პოსტების შესახებ, რომელიც სოციალურ ქსელში ვრცელდება და ჩვენს შეურაცხყოფას ისახავს მიზნად. გვინდა განვაცხადოთ:– ,,ალიონი" არანაირადაა დაინტერესებული დაძაბული ურთიერთობა იყოს ,,მერცხალის" ამჟამინდელ და ძველ მწვრთნელებს, გუნდის უფროსებს თუ სხვა თანამდებობის პირებს შორის. უმჯობესია, არა ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში დაკარგონ დრო, არამედ ერთად იმსჯელონ ,,მერცხალის" მომავალზე.

ასევე არაა სწორი საქციელი, როცა მწვრთნელი თუ სხვა თანამდებობის პირი მედიასთან ურთერთობას გაურბის, მით უმეტეს, როცა კლუბი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

გუნდი	თ	მ	ფ	წ	გგ	გმ	+/-	ქ
ბახმარო	14	11	3	0	32	6	26	36
მაჭახელა	14	10	2	2	30	13	17	32
ლესიჭინე	14	10	2	2	29	14	15	32
ტორპედო 2	14	9	1	4	33	12	21	28
სამგურალი 2	14	9	1	4	22	12	10	28
ხიხანი	14	7	5	2	30	12	18	26
დინამო ბთ 2	14	6	3	5	24	23	1	21
მერცხალი	14	6	2	6	25	22	3	20
საირმე	14	6	1	7	28	25	3	19
რაჭა	14	4	2	8	22	31	-9	14
იმერეთი 2	14	4	2	8	17	39	-22	14
ზანა	14	3	2	9	17	31	-14	11
ეგრისი	14	2	4	8	17	28	-11	10
სალხინო	14	2	2	10	12	29	-17	8
ოდიში 1919 2	14	0	0	14	9	50	-41	0

უფასო განცხადება ტალონი

90 ბეჭდვითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი" გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი", რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია.

90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექმებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

ფერტილებით დანთებული ლამპარი



თენგიზ (თენგო) დარჩია– ავტორი ირაკლი კალანდაძე (აკვარელი).

პუანტელიზმის სტილის მხატვარი, რომელიც წერტილებით აღწევს სამგანზომილებიან სიბრტყეზე გასვლას, თავისი აზროვნებით ისე ღრმად უყურებს სამყაროს და იჭერს თანამედროვე მაჯისცემას, რომ არ შეიძლება არ დაგაფიქროს, არ აგაღელვოს, არ მოგხიბლოს, არ გითხრას სათქმელი ჩუმად, მაგრამ ძლიერი ჟღერადობითი გამომსახველობით. უდავოდ გრაფიკული ხალასია თენგიზ დარჩიას ხელოვნება, რომელიც ავლენს მაღალ კულტურას.

მოვიშველიებ რუსთაველის ხატოვან გამონათქვამს:

„აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება.“

ჭეშმარიტ მხატვრობას სრულყოფისათვის წყალივით სჭირდება ენა, გული (გრძნობა), ხელოვნება (ოსტატობა) და გონება. მან გამოავლინა თავისი მოკრძალებული ხელოვნებით ყოველივე ეს თვისება.

2015 წლის გაზეთი წერდა:

„ლანჩხუთი PLUS-ის“ შეკითხვებს უძღვება ქეთევან ნაკაშიძე, პასუხობს მხატვარი-გრაფიკოსი, ლანჩხუთის სამხატვრო სკოლის პედაგოგი თენგიზ დარჩია. იმხანად თენგიზს 60 წელი შეუსრულდა.

– გვიამბეთ თქვენს შესახებ ბავშვობიდან დღემდე.

– დავიბადე ლანჩხუთში, 1955 წლის 29 აპრილს, კოლმეურნის ოჯახში, დედა – ქეთევან კუბუსიძე, მამა – სოსო (სულიკო) დარჩია. მყავს მეულლე თამარ უნგიაძე, შვილები ცოტნე და თორნიკე.

დავამთავრე სოფელ ჭალას დაწყებითი სკოლა, სწავლა განვაგრძე სოფელ გვიმბალაურის რვაწლედში. სკოლის დამთავრებისთანავე მოვეწყვე თოიძის სახელობის სასწავლებელში ჭედურ ქანდაკებაზე. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე ლანჩხუთის რაიონის სოფლის სკოლებში ხატვის პედაგოგად. ვმუშაობდი ბიბლიოთეკაში მხატვრად, ლანჩხუთის № 48 პროფესიულ სასწავლებელში.

– თქვენი წინაპრებიდან ხომ არ ხატავდა ვინმე?

– როგორც მხატვარი, არავინაა ცნობილი, მაგრამ ბაბუაჩემი ხის ხელოსანი იყო, ჩუქურთმებიან მაგიდებს აკეთებდა.

– ვინ მიგაჩნიათ თქვენს მასწავლებლად?

– მე-5 კლასიდან ლანჩხუთის თეატრში დავდიოდი თეატრის მხატვარ ხასან ჭკუასელთან. მან მასწავლა ფანქრის ხელში დაჭერა. დიდად განათლებული ადამიანი იყო და თუ მოუსმენდი, ძალიან ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა მისგან.

– რას თვლით თქვენს ყველაზე დიდ გამარჯვებად?

– ოჯახს და შვილებს, რისთვისაც უფალს დიდი მადლობა, მათი გვერდით დგომა რომ არა, მე ხატვას ვერ განვაგრძობდი.

– საშუალება რომ გქონდეთ, ვის ეტყოდით მადლობას ხმამაღლა ყველას გასაგონად და რატომ?

– მეუღლეს, რომელიც გვერდით მიდგას და ორი ღირსეული ვაჟკაცი გამიზარდა.

– სამხატვრო სკოლა ნამდვილად იქცა ლანჩხუთელთა სიამაყის ობიექტად. თქვენ რა შეგიძლიათ გვითხრათ ჩვენი ბავშვების აღზრდის ამ კერაზე?

– ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა ღვთის წყალობაა ამ რაიონისათვის. აქ მოსული ბავშვი მრავალმხრივი ნიჭის გამოვლინებას ეზიარება, სწავლება უფასოა, შენობა – კეთილმოწყობილი, ღირსეული თანამშრომლებითაა დაკომპლექტებული, ყველა პირობაა შექმნილი ბავშვმა და პედაგოგმა კომფორტულად იგრძნონ თავი.

– თქვენი მოსწავლეებიდან ვინ გვამაყებათ?

– ყველა ბავშვი მეამაყება, მაგრამ გამოვყოფდი ერთს: რუსუდან გაბედავას – უდიდესი ნიჭის მქონე ადამიანს.

– ამჟამად რამდენი მოზარდი სწავლობს თქვენს „ხელობას“?

– ათი ბავშვი.

– არ გიფიქრიათ თქვენი ნამუშევრების წიგნად გამოცემაზე?

– დღეს წიგნს ყველა გამოუშვებს: პოეტი, მწერალი, მხატვარი, მაგრამ ეს წიგნი მტვრის ბუდედ არ უნდა იქცეს თაროზე დადებული. წიგნი საზოგადოებისათვის მისაღები უნდა იყოს.



– რა ნატვრა დაგრჩათ შეუსრულებელი?

– ნატვრის მეტი რაა...

– გმადლობთ, იუბილეს გილოცავთ და უამრავ შემოქმედებით სიხარულს გისურვებთ, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობასთან ერთად.

– დიდი მადლობა თქვენს გაზეთს ჩემდამი ყურადღების გამოჩენისთვის.

უფალო, მოგვეცი ძალა თავმდაბლობისა, მოთმინებისა, ღვთის შიშისა და სიყვარულისა, მიტევებისა, მოწყალებისა და ბევრი სიკეთისა.

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქ. ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიხსნა მხატვარ-გრაფიკოს თენგიზ დარჩიას მეორმოცე დღის ხსოვნისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +17+26	მზე +18+26	მზე ღრუბელი 15+25	მზე ღრუბელი 16+26	მზე ღრუბელი +17+22	მზე ღრუბელი +19+23	მზე +21+26
26 ივნისი	27 ივნისი	28 ივნისი	29 ივნისი	30 ივნისი	1 ივლისი	2 ივლისი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა